ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

№ 38 (5438) | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 16 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 1939 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲐᲖᲛᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲝᲗ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ (ᲛᲝᲬᲕᲘᲜᲐᲕᲔ)

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ („ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲛᲝᲬᲕᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ (ᲛᲔ-3 ᲒᲕ.)

ᲕᲐᲚᲕᲐ ᲐᲤᲮᲐᲘᲫᲔ — ᲡᲐᲐᲛᲨᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲚᲔᲠᲐᲚᲘ (ᲛᲔ-3 ᲒᲕ.)

Ვ. ᲑᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲢᲐᲠᲐᲡ ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝᲡ (ᲛᲔ-3 ᲒᲕ.)

ᲛᲐᲠᲘᲯᲐ ᲛᲘᲯᲔᲚᲐᲫᲔ — ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲡ ᲤᲘᲪᲘ (ᲛᲔ-3 ᲒᲕ.)

Დ. ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ — „ᲝᲗᲔᲚᲝ“ ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ (ᲛᲔ-4 ᲒᲕ.)

ᲐᲚ. ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲘ (ᲛᲔ-4 ᲒᲕ.)

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ:

ᲘᲜᲒᲚᲘᲡ - ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲙᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲒᲔᲑ (ᲛᲔ-4 ᲒᲕ.)

ᲠᲔᲡᲙᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲔᲕᲐ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲜᲘᲘᲓᲐᲜ (ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲐᲖᲛᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲐᲕᲐᲤᲐᲠᲝᲗ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ Ვ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა. ᲟᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗᲐ �თᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲐᲚ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲐᲚ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲞᲐᲡᲣᲮᲡᲒᲐᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ.

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲐᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲐᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲓᲐᲜ?

პირველი და ყველაზე უფრო სავალალოსნმ — ეს არის პარტიული მასების პოლიტიკური აქტივობის უმრეველო აღმავლობა. სტალინური ცენტრალური კომიტეტის ყრილობისწინა დოკუმენტების განხილვამ ჩვენი პარტიის ძირეულ რგოლებში ᲙᲚᲐᲡᲐ ახალი ძალით გვიჩვენა კომუნისტების უდიდესი ერთსულოვნობა და დარაზმულობა, ბოლშევიკური პათოსი და რევოლუციური ენტუზიაზმი, უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული კომუნიზმის საქმისადმი, დიდი სტალინისადმი.

პარტიული კრებების წინა დღეებში შემდგარი ხალხმრავალი მიტინგები, რომლებიც აღფრთოვანებით შეხვდნენ სტალინური ცენტრალური კომიტეტის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტების გამოქვეყნებას, ნამდვილად გადაიქცნენ ბოლშევიკების პარტიისა და მისი ბრძენი ბელადის გარშემო მილიონების მჭიდრო დარაზმულობის აღმაფრთოვანებელ ᲬᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲐᲓ.

და ეს იყო კიდევ ერთი საუცხოო დადასტურება ჩვენი ქვეყნის ორი უდიდესი ძალის ერთიანობისა — კომუნიზმისა და ხალხის ერთიანობისა.

მესამე ხუთწლედის სიდიადე და გრანდიოზულობა სიამაყის გრძნობას იწვევს მილიონებში.

მილიონები ამაყობენ იმით, რომ ბრძოლა სტალინური ხუთწლედებისათვის დაგვირგვინდა მარქსიზმ-ლენინიზმის ტრიუმფით, ლენინ-სტალინის პარტიის სახელოვანი გამარჯვებით.

ამიტომაც ასე გულმოდგინედ იხილავენ პარტიულ კრებებზე ამხანაგ მოლოტოვის თეზისებს, რომლებშიაც მკვეთრად არის ილუსტრირებული სოციალიზმის ძლევამოსილი წინსვლის ციფრები, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის წარმტაცი პერსპექტივები.

ამიტომაც ასე საფუძვლიანად არჩევენ ამხანაგ ა. ᲟᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ მოხსენების თეზისებს, რომლებშიაც ასახულია ბოლშევიკების პარტიის სიდიადე, მისი ორგანიზაციული სიძლიერე, მისი გაზრდილი როლი კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

განა ამას არ მოწმობენ კომუნისტთა საქმიანი გამოსვლები, მათი წინადადებები და დამატებები?

ფაბრიკებში და კოლმეურნეობებში, დაზგებთან თუ მაღაროებში, ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში, ციტრუსოვანთა წარმტაც ბაღნარებში ჩვენი ქვეყნის ადამიანები გულმოდგინედ მსჯელობენ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საკითხზე, სოციალისტური მშენებლობის შემდგომ აყვავებაზე, იმ ახალ ცვლილებებზე, რომელთა შეტანა გათვალისწინებულია პარტიის წესდებაში.

პარტიის რაიკომებში კომუნისტები აგზავნიან მრავალ ახალ წინადადებებს, რომლებიც გამიზნულია თეზისებში შესატანად.

მილიონების ფიქრი, გრძნობები მიმართულია იქითკენ, რომ გამოავლინონ ძვირფასი წინადადებანი და ამით დაეხმარონ ყრილობას კოლოსალური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში.

საქ. კ. პ. (Ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის 93 პირველადი ორგანიზაციის კრებებზე კაშათში გამოსულმა 583 კაცმა შემოიტანა 244 წინადადება. ჭიათურის რაიკომში შემოტანილია 20 წინადადება მარტო მარგანეცისა და რკინიგზის რეკონსტრუქციის შესახებ. თბილისის ორგანიზაციის ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲐ და ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ რაიონებში შემოდის უამრავი წინადადებები, რომლებიც ეხება პარტიის წესდებაში ცვლილებების შეტანას, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საკითხებს, კომუნალური მეურნეობის შემდგომ განვითარებას და ა. შ.

ასეთი წინადადებები შემოაქვთ თითქმის ყველა რაიკომში.

ბოლშევიკური ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ ზუსტად შევაჯამოთ პირველადს პარტორგანიზაციებში თეზისების განხილვის შედეგები, უკლებლივ აღვრიცხოთ კომუნისტთა წინადადებები, რომლებსაც ისინი აყენებენ თეზისებში შესატანად.

იწყება ყრილობისათვის მზადების კიდევ უფრო პასუხსაგები პერიოდი. ახლა ძირითადია კომუნისტთა რაიონული კრებებისა და რაიონული პარტიული კონფერენციების ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე ჩატარება, ამხანაგების მოლოტოვისა და ᲟᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ მოხსენებათა თეზისების უფრო ღრმად და გულმოდგინედ განხილვა, ყოველმხრივ შემოწმებული და საუკეთესო ბოლშევიკების გაგზავნა საქ. კ. პ. (Ბ) XII ყრილობაზე.

ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლა, შემტევი რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერება, ყრილობისათვის მთელი მოსამზადებელი მუშაობის მჭიდროდ დაკავშირება აღებულ საწარმოო ვალდებულებების განხორციელებასთან, პარტიული პოლიტიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობა—აი რა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე უნდა იქნას გამახვილებული კონფერენციების ყურადღება.

„საკ. კ. პ. (Ბ) XVIII ყრილობის თეზისების განხილვისა და რაიონულ, საქალაქო პარტკონფერენციებზე და საქართველოს კ. პ. (Ბ) XII ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატთა არჩევნების ჩატარების ბოლშევიკურად მოწყობით საქართველოს პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას ხალხის მტრების ნაბოლარების გამომჟღავნებისა და საბოლოოდ მოსპობისათვის, უფრო მტკიცედ შეამჭიდროებენ თავიანთ რიგებს საკ. კ. პ. (Ბ) სტალინური ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ გარშემო, დიდი სტალინის გარშემო“ (საქ. კ. პ. (Ბ) Ც. კ-ის პლენუმის დადგენილებიდან).

ᲚᲔᲜᲘᲜ-ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ დროშის ქვეშ დარაზმული ხვდებიან საქართველოს ბოლშევიკები თავის რაიონულ კონფერენციებს, ასევე დარაზმული მოდიან ისინი საქართველოს კ. პ. (Ბ) XII ყრილობაზე, ახალი საამაყო გამარჯვებებით, უფრო შემჭიდროებული რიგებით, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით წარსდგებიან ᲚᲔᲜᲘᲜ-ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ პარტიის XVIII ყრილობაზე.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲭᲣᲥᲠᲔᲑᲡ ᲣᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XVIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

ᲝᲠᲘ ᲨᲐᲮᲢᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

„ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲢᲠᲔᲡᲢᲛᲐ 18 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲓᲐᲛᲘᲡᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ 115,8 ᲞᲠᲝᲪ. ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ, 15 თებერვალი (საქდესი). ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲐᲮᲢᲘᲡ კოლექტივმა, რომელიც ემზადება, რათა ღირსეულად შეეხვდეს პარტიის XVIII ყრილობას, სოციალისტურ შეჯიბრებაში გაᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲐᲮᲢᲘᲡ მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა ვალდებულება აიკისრეს, რომ ქვანახშირის ამოღების იანვარ - თებერვლის გეგმას (29.340 ტონა) შეასრულებენ 25 თებერვლისათვის, ხოლო კვარტალურ გეგმას (45 ათასი ტონა)—20 მარტისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის შესახებ გაგზავნილ წერილს ᲮᲔᲚᲘ ᲐᲬᲔᲠᲔᲜ მოწინავე სტახანოველები, ათისთავები, უბანთა გამგეები და შახტის ხელმძღვანელები.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა გამოწვევა მიიღო.

„ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ორივე შახტის საუკეთესო სტახანოველები საწარმოო საჩუქრებს უმზადებენ პარტიის XVIII ყრილობას.

13 თებერვალს ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ სახელობის შახტმა გეგმა შეასრულა 122,4 პროცენტით, ხოლო სტალინის სახელობის შახტმა—105,9 პროცენტით. მთლიანად ტრესტმა 13 თებერვალს სადღეღამისო გეგმა 115,8 პროცენტით შეასრულა. ამ დღის განმავლობაში, 983 ტონის ნაცვლად, ამოღებულია 1.139 ტონა ქვანახშირი.

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲧᲠᲘᲚᲝᲑᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲔᲑᲐ ᲜᲝ-ᲖᲔ ᲛᲔᲠᲕᲘ ᲡᲐᲝᲠᲗᲥᲚᲛᲐᲕᲪᲚᲝ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲐ

თბილისის საორთქლმავლო დეპოში ფართოვდება წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება. დღითი-დღე იზრდება იმ მემანქანეთა რიცხვი, რომლებიც იბრძვიან მძიმე წონის მატარებელთა კრივონოსული წაყვანისათვის. წინასაყრილობო შეჯიბრებაში 60-ზე ᲜᲔᲢᲘ საორთქლმავლო ბრიგადა ჩაება. საორთქლმავლო ბრიგადას, რომელიც პირველობას მოიპოვებს წინასაყრილობო შეჯიბრებაში ორთქლმავალთა სტალინური კოლონის მოწინავის სახელწოდება მიენიჭება.

დეპოს კრივონოსელებმა უკვე დიდ წარმატებებს მიაღწიეს.

6 თებერვალს მემანქანეებმა ამხ. სარალიძემ და ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ აჭსტაფა-თბილისის უბანზე ნორმით გათვალისწინებული 2.500 ტონის ნაცვლად წაიყვანეს 2.800 ტონა წონის მძიმე ჩასასხმელი მატარებელი, ამასთან ᲗᲐᲗ უარი სთქვეს გარდაბან-თბილისის გადასარბენზე დამხმარე ორთქლმავლის მიბმაზე. გზაში მათ, ნორმით გათვალისწინებული 29,9 კილომეტრის ნაცვლად, 15 წუთით დაწევას და 30 კილომეტრ ტექნიკურ სისწრაფეს მიაღწიეს. 10 თებერვალს მემანქანეებმა ამხ. კოხრეიძემ და ლიტვინოვმა თბილისიდან ნაᲨᲣᲠᲐᲛᲓᲔ წაიყვანეს მძიმე წონის მატარებელი და უარი სთქვეს გომი-ხაშურის გადასარბენზე დამხმარე ორთქლმავლის მიბმაზე. მათ 20 წუთით დაწევას მიაღწიეს. კრივონოსული მგზავრობის ნომუშებს იძლევიან მემანქანეები ამხ. სიხარულიძე, გეპნერი, ასიტოვი, შოკი და მრავალი სხვანი, რომლებსაც დიდი სისწრაფით ᲬᲘᲰᲧᲐᲕᲗ მძიმე წონის მატარებლები და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. (საქდესი).

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ

14 თებერვალს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარეობდა ორი განყოფილების — საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა საერთო კრებები. კრებებს დაესწრნენ ახლადარჩეული აკადემიკოსები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: განყოფილებათა სტრუქტურის შეცვლა და სამუშაოთა გეგმა. ᲯᲐᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ლიკვიდაციასთან და ახალ განყოფილებათა შექმნასთან დაკავშირებით საჭირო გახდა მთელ რიგ ცვლილებათა შეტანა მეცნიერებათა აკადემიის მომქმედ წესდებაში. აკადემიური მუშაობის უფრო ფართო დემოკრატიზაციისა და მასში ფართო მეცნიერული საზოგადოებრიობის ჩაბმისათვის განზრახულია განყოფილებათა შემადგენლობაში შეყვანილ იქნან არამარტო აკადემიკოსები და წევრი-კორესპონდენტები, არამედ აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიის ყველა დაწესებულების ხელმძღვანელნი, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ მუშაკები, აკადემიისგარეშე დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომელნიც არჩეული უნდა იქნან ფარული კენჭისყრით.

მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებაზე ახლადარჩეულ აკადემიკოსებს და წევრ-კორესპონდენტებს მიესალმა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ლ. კომაროვი.

კრებებზე დაამტკიცეს განყოფილებათა პერსონალური შემადგენლობა და განიხილეს იმ სამეცნიერო დაწესებულებათა სია, რომლებიც მომავრებული იქნებიან თვითეულ განყოფილებაზე.

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲙᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 15 თებერვლის ბრძანებულებით ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ორდენით დაჯილდოებულია აკადემიკოსი ალექსი ნიკოლოზის-ძე კრილოვი, დაარდებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით, მშობლიური გემთმშენებლობის დარგში უდიდესი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობისათვის. (საკდესი).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ

უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა დაამტკიცა სახალხო კომისარიატთა (უწყებათა) აკადემიებში მიღების წესები 1939 წლისათვის. განცხადებათა მიღება ამ აკადემიებში დაიწყება 1 მარტს. აკადემიებში მიიღებიან საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკები: მთავარსამმართველოთა, განყოფილებათა უფროსები, დირექტორები, მათი მოადგილეები, საამქროთა უფროსები, ოსტატები, ბრიგადირები, საუკეთესო სტახანოველი მუშები, აგრეთვე ხელმძღვანელი პარტიული, პროფესიული და კომკავშირული მუშაკები. შემსვლელთ (18-დან 40 წლის ასაკამდე) უნდა ᲰᲥᲜᲓᲔᲗ საერთო საგანმანათლებლო მომზადება არანაკლებ საშუალო სკოლის 7 კლასისა.

აკადემიებში შესასვლელად კანდიდატები შერჩეულ იქნებიან ნახევარი წლით ადრე მეცადინეობის დაწყებამდე.

აკადემიების დირექტორებთან და მათი თავმჯდომარეობით ეწყობა მიმღები კომისიები, რომლებშიც შევლენ დირექტორთა მოადგილეები სასწავლო ნაწილში, ფაკულტეტთა დეკანები, პროფესორები და სასწავლებლის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. აკადემიებში ყველა შემსვლელი 1 აგვისტოდან გაივლის მისაღებ გამოცდას რუსულ ენაში, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, სსრ კავშირის კონსტიტუციასა და მათემატიკაში. აკადემიაში ჩარიცხავს პირადად სახალხო კომისარი აკადემიის დირექტორის წარდგენით.

ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 13 თებერვალი (**ᲑᲘᲚᲓᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ საკ. კორ.**) სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტმა გუშინ თბილისიდან მიიღო საქართველოს ხალიჩების საუცხოო ნიმუშები. სულ გამოფენის მონაწილეებმა უკვე 27 ათასი სხვადასხვა ექსპონატი გამოგზავნეს. გამოფენის საცავებში ინახება ბამბის, თამბაქოს, ზეთოვანი კულტურების ბევრი ნიმუში, მუხისა და თუთის აბრეშუმის პარკის კოლექციები. მაცივრებში ინახება შორეულ ჩრდილოეთში — იგარკაზე გაზრდილი ბოსტნეული. ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის პავილიონებისათვის მიღებულია უძვირფასესი ბეწვეულის — ენოტის, თეთრი მელის და სხვ. მრავალი ექსპონატი.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

გუშინ, საღამოს 7 საათზე მასწავლებლის სახლში, საქ. კ. პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის გადაწყვეტილებით შესდგა საქართველოს უმაღლესი სკოლების ხელმძღვანელ მუშაკთა და მასწავლებელთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირის მუშაობას ხელმძღვანელობდა საქ. კ. პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ᲯᲐᲨᲘ**. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე საქ. კ. პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. გამგე ამხ. **ი. თავაძე**, საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი ამხ. **გ. კიკნაძე** და სხვ.

მოხსენებით „საკ. კ. პ. (Ბ) ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ საკ. კ. პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის დადგენილების უმაღლეს სასწავლებლებში შესრულების ღონისძიებათა შესახებ“ გამოვიდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. **ვ. ᲕᲐᲘᲡᲘᲠᲘ**, თავის მოხსენებაში მან ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებიც ამუამად დგას უმაღლეს სასწავლებლების წინაშე საბჭოთა სტუდენტობის მარქსიზმ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პროფ. ა. ხარაძემ (თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ხ. გულონიანი (თბილისის სატრანსპორტო-საინჟინრო ინსტიტუტი), პროფ. ა. მაჭავარიანი (თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი). დოც. არქ. დარახველიძე (სოხუმის სახელმწიფო პედინსტიტუტი), დ. ᲑᲣᲓᲘᲚᲔᲕᲘ (თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი), პ. თავხელიძე (ᲟᲣᲠ. „ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲚᲝᲑᲐ“), რ. შადური (საქ. განსახკომი), ᲔᲠ. ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔ (თბილისის პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი), სიმამშვილი (ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტი), და პროფ. ზავრიევი (თბილისის სატრანსპორტო-საინჟინრო ინსტიტუტი).

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ იმ დიდ ინტერესს, რომელიც გამოიწვია საბჭოთა სტუდენტობაში „საკ. კ. პ. (Ბ) ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ მოკლე კურსის“ გამოსვლამ. კამათში გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ აგრეთვე იმ ნაკლოვანებებზეც, რომლებიც ᲯᲔᲠ კიდევ ახასიათებენ უმაღლეს სასწავლებლებში მარქსიზმ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ საფუძვლების სწავლებას.

კამათში გამოსულ ამხანაგებს და შემოსულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი გასცა ამხ. ვაისერმა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა ამხ. მ. ᲯᲐᲨᲘᲛᲐ, რომელშიაც თავის სიტყვაში დასახა კონკრეტული ღონისძიებანი უმაღლეს სასწავლებლებში მარქსიზმ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ თეორიის სწავლების გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

დასასრულ თათბირმა მჭუხარე ტაშით მიიღო მისალმება ხალხთა ბრძენი ბელადის, მამისა და მასწავლებლის—დიდი **სტალინისადმი.**

თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა „კომშომოლკის“ პარტორგანიზაციის კრება, რომელზედაც განხილულ იქნა ამხანაგების ვ. მოლოტოვისა და ა. ᲟᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ მოხსენებათა თეზისები.

ᲤᲝᲢᲝ ᲠᲐ. ᲐᲙᲝᲤᲝᲕᲘᲡᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲚᲐᲪᲔᲛᲐ

14 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა პრეზიდიუმის მთელი რიგი წევრების თანდასწრებით ორდენები და მედლები გადასცა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მ. ვ. ᲤᲠᲣᲜᲖᲔᲡ სახელობის წითელდროშოვანი და ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ორდენოსანი სამხედრო აკადემიის ხელმძღვანელებს, მასწავლებლებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც, აკადემიის 20 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოებული არიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა კადრების გამოზრდისა და აღზრდის საქმეში ხანგრძლივი, პატიოსანი მუშაობისათვის.

ორდენებს იღებენ აგრეთვე მწერლები და პოეტები ამხ. ისაკოვსკი, ნოვიკოვ-პრიბოი, პაუსტოვსკი, შაგინიანი, ᲑᲘᲚ-ᲑᲔᲚᲝᲪᲔᲠᲙᲝᲕᲡᲙᲘ, დიკოვსკი, ᲚᲔᲑᲔᲓᲔᲕ-ᲙᲣᲗᲐᲮᲘ, ᲢᲠᲔᲜᲔᲕᲘ, რომლებიც დაჯილდოებული არიან საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის განვითარების საქმეში განსაკუთრებული წარმატებებისა და მიღწევებისათვის.

ამხ. მ. ი. კალინინმა მიულოცა ამხანაგებს მაღალი ᲯᲘᲚᲓᲝᲡ მიღება და უსურვა მათ ახალი წარმატებანი შემდგომ მუშაობაში.

(საკდესი).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ

უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა დაამტკიცა სახალხო კომისარიატთა (უწყებათა) აკადემიებში მიღების წესები 1939 წლისათვის. განცხადებათა მიღება ამ აკადემიებში დაიწყება 1 მარტს. აკადემიებში მიიღებიან საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკები: მთავარსამმართველოთა, განყოფილებათა უფროსები, დირექტორები, მათი მოადგილეები, საამქროთა უფროსები, ოსტატები, ბრიგადირები, საუკეთესო სტახანოველი მუშები, აგრეთვე ხელმძღვანელი პარტიული, პროფესიული და კომკავშირული მუშაკები. შემსვ

სომხეთის სსრ დიუსკიანდის რაიონის სო ფ. პატარა-კარაკლისის ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა დელეგაციი: (მარცხნიდან) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე წ. წატურიანი, სტახანოველი კოლმეურნე მეტაქსი კარაპეტიანი, კოლმეურნეობის ბრიგადირები მ. ხეჩაბაბიანი და ვ. ვოსკანიანი.

ფოტო რ. აკოფოვისა

სომხეთისა და საქართველოს მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა სოცშეჯიბრება

(გორი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შესახვედრად მზადებასთან დაკავშირებით გორის რაიონის სოფ. ბერბუკის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სომხეთის სსრ რესპუბლიკის დიუსკიანდის რაიონის სოფელ პატარა-კარაკლისის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ.

დროშით, მუსიკითა და ცეკვა-თამაშით შეხვდნენ ბერბუკელი კოლმეურნეები მომძე რესპუბლიკის კოლმეურნეთა დელეგაციის წევრებს 14 თებერვალს.

კოლმეურნეობაში შესდგა წევრთა საერთო კრება სტუმრების თანადასწრებით. კრებამ განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინა სომხეთის სსრ დიუსკიანდის რაიონის სოფელ პატარა-კარაკლისის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მომართვა ბერბუკელ კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის შესახებ, სადაც ამ კოლმეურნეობის წარმატებებთან ერთად აღნიშნულია მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებანიც: სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის დამთავრება და 24.000 ურემი ადგილობრივი სასუქების მინდვრებზე გატანა 15 თებერვლისათვის, კონდიციური თესლით უზრუნველყოფა ფართობებისა 20 თებერვლამდე, მუშა-პირუტყვის საუკეთესო მოვლა, თესვის შემჭიდროებულ ვადებში ჩატარება, ნათესების საუკეთესოდ მოვლა და სხვ. მომართვაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ კოლმეურნეობა კისრულობს თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს ხორბალი — 20 ცენტნერამდე, ქერი — 22 ცენტნერამდე, შაქრის ჭარხალი — 200, კომბოსტო—200, სტაფილო — 160 ცენტნერი, მოაწყოს საბავშვო ბაგა 120 ბავშვისათვის, მოამზადოს 70 ჯგუფის ხელმძღვანელი და სხვ.

ბერბუკელმა კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მიიღეს გამოწვევა.

ბერბუკის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე ერთხმად მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ კოლმეურნეობა კისრულობს: კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა პარტიის XVIII ყრილობის ახალი წარმატებებით შეხვედრისათვის, სას.-სამ. გამოფენაში მონაწილეობისა და პირველი მაისის დღესასწაულზე უკრაინაში დელეგაციის გაგზავნის უფლების მოპოვებისათვის, წელს ყველა კულტურების თესვა ჩაატაროს მხოლოდ მწკრივად და ვადაზე ადრე. ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს შაქრის ჭარხალი — 600 ცენტნერი, კომბოსტო — 640, პომიდორი — 140, სიმინდი — 25. ხორბალი — 15, ხილი—120 ცენტნერი. უზრუნველჰყოს 36 ჰექტარი ხეხილის ბაღის რემონტი, ფუტკრის სკების რიცხვის აყვანა ახლანდელი 60-დან 100-მდე. მეცხოველეობის ფერმაში ნამატის მთლიანად შენარჩუნება, თვითეული ძროხის დღიური წველადობის გადიდება საშუალოდ 7 ლიტრამდე, მიმდინარე წლის 1 მაისისათვის უზრუნველჰყოს ყველა კოლმეურნის ოჯახში რადიოს დადგმა და ელექტროგანათების მოწყობა. საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისა და ნათესების საუკეთესოდ დამუშავების უზრუნველსაყოფად მათვე იკისრეს სხვადასხვა კურსებზე მოამზადონ 25 კაცი.

მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა წარმომადგენლები შეთანხმდნენ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობისა და შედეგების შემოწმება სთხოვონ გაზეთების: „ბანვორის“ (ლენინაკანი), „კომუნისტის“ (თბილისი), „ზარია ვოსტოკას“ (თბილისი) და „სტალინელის“ (გორი) რედაქციებს.

ტრ. თოდრაძე

თავდამსხმელი ჯალიკაძე სასჯელად უნდა დაისაჯოს

(„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

11 თებერვალს სოხუმის რკინიგზის სადგურის ყოფილი მტვირთავი ნოე ტალიკაძე თავს დაესხა ამავე სადგურის უფროსს ალექსანდრე კოდუას და ხანჯლით მძიმედ დასჭრა თავში. ნოე ტალიკაძე 1938 წლამდე მტვირთავად მუშაობდა კელასურის რკინიგზის სადგურში, სადაც ეწეოდა სიმულაციას და ხულიგნობას. ჯერ კიდევ მაშინ ის მოხსნილ იქნა სამუშაოდან, მაგრამ გასულ წელს მაინც მოეწყო სამუშაოდ სოხუმის სადგურში. ტალიკაძე აქაც ეწეოდა ლოთობას, აცდენდა სამუშაო საათებს, ხულიგნობდა. თავისი ჩვეულება მან არ მოიშალა 28 დეკემბრის დადგენილების შემდეგაც. 23 იანვარს მან უმიზეზოდ გააცდინა სამუშაო დღე, რისთვისაც სადგურის უფროსმა კოდუამ იგი მოხსნა სამუშაოდან. ტალიკაძემ პირველად სცადა დაეშინებინა სადგურის უფროსი და მისი მოადგილე ბირკაია მოკვლის მუქარით. როდესაც მუქარამ არ გასჭრა, ის ხანჯლით მიუხტა სადგურის უფროსს და მუშაობის დროს მიაყენა მას მძიმე ჭრილობა თავში. დაჭრილი მოთავსებულია საავადმყოფოში, ხოლო თავდამსხმელი დაპატიმრეს. სწარმოებს სასწრაფო კვლევა-ძიება. ამ დღეებში შავი ზღვის რკინიგზის სადგურებსა და დეპოებში შესდგა მიტინგები, რომლებზედაც მუშები ერთსულოვნად მოითხოვდნენ თავდამსხმელის წინააღმდეგ მკაცრი სასჯელის მიღებას.

გ. მერკვილაძე.

ზადება წითელი არმიისა და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავისათვის

მზადება სამხედრო ფიცის მისაღებად

უნახავი აღფრთოვანება ა.-კ. სამხედრო ოლქის ნაწილებში

ახლოვდება ღირსშესანიშნავი დღე, როდესაც ჩვენი დიადი სამშობლოს მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები მიიღებენ უმტკიცეს და ურღვევ წითელ სამხედრო ფიცს. ეს დღე — 1939 წლის 23 თებერვალი — სამუდამოდ დაუვიწყარ თარიღად დარჩება ძლევამოსილი წითელი არმიის ისტორიაში.

წითელი სამხედრო ფიცის მიღებისათვის მზადებამ ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში ენტუზიაზმისა და შემოქმედებითი შრომის ჯერ უნახავი აზვირთება გამოიწვია. ყველა ნაწილი, ყველა დანაყოფი ცდილობს რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი მიღწევით აღნიშნოს ფიცის მიღების დღე. ყველგან მასობრივად გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება ფიცის მიღებისათვის უკეთესად მოსამზადებლად და საბრძოლო - პოლიტიკურ მომზადებაში უკეთესი შეფასების მისაღწევად.

ნაწილებსა, დანაყოფებსა და ქვედანაყოფებში ეწყობა საუბრები ფიცის მიღებაზე, მებრძოლების მოვალეობაზე, წითელი არმიის გმირული ისტორიის საკითხებზე. იმ ქვედანაყოფში, რომელსაც მეთაურობს ამხ. ტიაგნიბიდინი, ყოველდღიურად იზრდება საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსან მებრძოლთა რიცხვი.

№ ნაწილში, წითელარმიელებმა ამხ. ორიოლმა, ზაბოლოტნიმ, გავრილოვმა, მალახოზმა, ოსტაპენკომ, კალინიჩენკომ და სხვ. მიაღწიეს უმაღლეს მაჩვენებლებს საბრძოლო მომზადებაში. კურსანტებმა — ამხ. გავრილოვმა, მაკარენკომ, ფომინმა, პოლიკოვსკიმ და სხვ. გვიჩვენეს სროლის საუკეთესო ნიმუშები.

№ ნაწილში იარაღის ოსტატები ამხ. ზაიცევი და ხრუსტიცკი იარაღის რემონტის გეგმას მუდამ 140-150 პროცენტით ასრულებენ. სხვა ნაწილში კომკავშირელების ინიციატივით მოეწყო 10 კილომეტრიანი გადასვლა. პირველი ადგილი ამ გადასვლისას მოიპოვა იმ ქვედანაყოფმა, სადაც პოლიტხელად ამხ. საგჩენკოა. ამ ქვედანაყოფის მებრძოლებმა ეს მანძილი 1 საათსა და 29 წუთში განვლეს.

წითელი სამხედრო ფიცის მისაღებად მზადებისას გაიზარდა მებრძოლების მისწრაფება კომკავშირში და ლენინ-სტალინის პარტიაში შესასვლელად. წითელარმიელებს მასობრივად შეაქვთ განცხადებები პარტიის და კომკავშირის რიგებში მისაღებად.

ღირსეულად შეხვედრისათვის

№ ნაწილში ახლა წითელარმიელი მებრძოლების საუბრის ყველაზე საყვარელი თემა ფიცზე საუბარია. ყველა დანაყოფსა და ერთეულში წითელარმიელები გაცხოველებით ემზადებიან ფიცის მიღების საზეიმო დღისათვის. ნაწილის წითელარმიელებმა ამხ. ლ. გაშუკმა, ი. დიკუნმა, ტ. პარხომოვიჩმა და სხვებმა გვიჩვენეს საბრძოლო მომზადების ისეთი დონე, რომელსაც ყველა მებრძოლი შენატრის.

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვან 21 წლისთავთან და წითელი სამხედრო ფიცის მიღებისათვის მზადებასთან დაკავშირებით, ნაწილში ფართო მუშაობა სწარმოებს ლენინ-სტალინის პარტიის მეთვრამეტე ყრილობისათვის მოსამზადებლად. დანაყოფებსა და ცალკე ერთეულებში სწარმოებს ამხანაგ მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვა. ამასთან დაკავშირებით ნაწილში გაიზარდა ლტოლვა პარტიის რიგებში შესასვლელად.

თვითეული წითელარმიელი, მეთაური და პოლიტმუშაკი ახლა სავსებით მზად არის ურღვევი ფიცის მისაღებად.

რ. მაღაროელი



ციმბირის სამხედრო ოლქის № ნაწილის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში წითელი არმიის XXI წლისთავის აღსანიშნავად. **სურათზე:** მეტყვიამფრქვევიები—საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები (მარცხნიდან) მ. სვერჩკოვი, ი. კოპტევი და ს. ზუბოვი ტაქტიკურ ვარჯიშზე.

საკადესის ფოტოქრონიკა

დიდი გამოფენა წითელი არმიის საოლქო სახლში

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 21 წლისთავის აღსანიშნავად ა.-კ. წითელი არმიის საოლქო სახლში მოეწყო დიდი გამოფენა, რომელზედაც 500-ზე მეტი ექსპონატია წარმოდგენილი.

გამოფენა შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: დიადი ოქტომბრის რევოლუციისათვის მზადების პერიოდი, 1918 წლის ინტერვენცია, ანტანტის პირველი, მეორე და მესამე ლაშქრობანი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, ცარიცინის დაცვა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ბრძოლა პეტროგრადისათვის, პირველი ცხენოსანი არმიის საბრძოლო მარშრუტი, ბრძოლა ამიერ-კავკასიის გასათავისუფლებლად და სერგო ორჯონიკიძისა და კიროვის როლი ამ საქმეში, შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმია 1929 — 1938 წლებში, წითელი სამხედრო ფიცის მიღება და მუშურ-გლეხური წითელი არმია დღეს.

ამასთან ერთად საოლქო სახლის პარტიული პროპაგანდის კაბინეტში გახსნილია წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 21 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

იზრდება „ფრიადზე“ მსროლელთა რიცხვი

იმ დანაყოფში, რომელსაც ამხ. ლესნიძე მეთაურობს, ფრიადოსან მსროლელთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. ქვედანაყოფებსა და ერთეულებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება გაცხოველებით მიმდინარეობს. ფიცის საზეიმო მიღების აღსანიშნავად გაშლილ შეჯიბრებაში მებრძოლები ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევენ. ამხ. ბიბილურმა და ბრეიმმა მიაღწიეს საუკეთესო მაჩვენებლებს ინდივიდუალურ საბრძოლო მომზადებაში.

ამავე დანაყოფის წითელარმიელებმა ამხ. გელაშვილმა და დავითაშვილმა შაშხანის სროლაში მაღალი შეფასება მიიღეს.

სოციალისტური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ყველგან წარმატებით ასრულებენ. წითელარმიელები, ჩვენი სამშობლოს პატრიოტები, ცდილობენ საუკეთესოდ მომზადებულნი შეხვდნენ ფიცის მიღების დღეს.

რ. ჟაღაგიშვილი

ქართველი მწერლები მოსკოვში

მოსკოვი, 15 თებერვალი (**ბილდაპარატით საკ. კორესპონდენტისაგან**). უახლოეს დღეებში კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მოხდება ქართველი მწერლებისათვის ორდენების გადაცემა.

— „ჩვენ უდიდესი მღელვარებით ველით ამ დღეს, აცხადებს შალვა დადიანი.—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ნათელი გამოხატულება ჰპოვა ამხანაგ სტალინის შეუნელებელმა მზრუნველობამ სოციალისტურ კულტურაზე. ქართველი მწერლები უზომო სიხარულს განიცდიან. ჩვენ აღსავსენი ვართ უსაზღვრო სიყვარულითა და ულრმესი მადლობით ამხანაგ სტალინისადმი. ჩვენი მთავრობის ამ აქტის მნიშვნელობა საერთოდ საბჭოთა ლიტერატურისა და კერძოდ ქართული ლიტერატურის შემდგომი აყვავებისათვის მეტად დიდია. ქართველი ხალხი და მისი ლიტერატურა [illegible] ცდიან. ეს ზეიმია მთელი საბჭოთა ხალხისა, მთელი საბჭოთა ლიტერატურისა, რომლის მთლიანობა ურღვევი და მტკიცეა. ჩვენ აღსავსენი ვართ ენერგიით და სურვილით შეექმნათ სტალინური ეპოქის ღირსეული ნაწარმოებები.

მოსკოვის დღეანდელმა გაზეთებმა მოათავსეს ცნობა მოსკოვში ქართველი მწერლებისა და პოეტების ჩამოსვლის შესახებ. „რაბოჩაია მოსკვა“ გადმოგვცემს საუბარს ამხ. შ. დადიანთან ქართული ლიტერატურის უკანასკნელი მიღწევების—ლეო ქიაჩელის ახალი რომანის—„გვადი ბიგვას“, ა. ჭეიშვილის რომანის „ლელოს“ და სხვ. შესახებ. „ლიტერატურნაია გაზეტამ“ მოათავსა ნაწყვეტი შალვა დადიანის რომანიდან „ურდუმი“.

უკანასკნელი ცნობები

უნგრეთის მთავრობა გადადგა

პრაღა, 15 თებერვალი (საკადესი). როგორც ბუდაპეშტიდან იუწყებიან, იმრედიმ გადასცა რეგენტ ხორტის განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ. ხორტიმ გადადგომა მიიღო.

კაბინეტის გადადგომა გამოწვეულია ხალხის ფართო მასების სულ უფროდაუფრო მზარდი უკმაყოფილებით იმრედის კაპიტულაციის გამო ფაშისტური გერმანიის წინაშე, რასაც შედეგად მოსდევს უნგრეთის გერმანიის იმპერიალიზმის ვასალად გადაქცევა.

რესპუბლიკური არმიის შეჯების ცნობა

პარიზი, 15 თებერვალი (საკადესი). ბადრიდის რადიოსადგური გადმოგვცემს რესპუბლიკური არმიის შტაბის ოფიციალურ ცნობას. ცნობაში აღნიშნულია, რომ 14 თებერვალს მნიშვნელოვანი ოპერაციები არც ერთ ფრონტზე არ მომხდარა.

პარიზი, 15 თებერვალი (საკადესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, მადრიდი მესამე დღეა ზედიზედ განიცდის გამძაფრებულ საარტილერიო ბომბარდირებას. ინტერვენტები დიდი ყალიბის ყუმბარებს იყენებენ. ბომბარდირების ორი დღის განმავლობაში მადრიდში მოკლულია 28 და დაჭრილია 106 კაცი.

იაპონელთა მიერ მოწყობილი წყალდიდობის შედეგად 4 მილიონი კაცი უსახლკაროდ დარჩა

ჩუნცინი, 15 თებერვალი (საკადესი). საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტმა რამდენიმე გამოკვლევის შემდეგ გამოარკვია, რომ იაპონელთა მიერ მდინარე ხუანხის ხეობაში მოწყობილი წყალდიდობის შედეგად უსახლკაროდ დარჩა 4 მილიონი ჩინელი ნაინც. იაპონელთა არტილერიის მიერ სანაპირო ჯებირების წინასწარი განზრახვით აფეთქების შემდეგ წყალმა დიდი ტერიტორია დაჰფარა. მოსახლეობა სხვადასხვა მხარეს გაიფანტა. უზარმაზარი ტერიტორია ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის აღმოსავლეთით, ხუანხის სამხრეთ რაიონში, ხალხისაგან დაიცალა. წყალდიდობისგან 3.500 სოფელი დაზარალდა. ფრონტის ხაზს იქით, იაპონელთა ზურგში, დაახლოებით ერთი მილიონი ლტოლვილი დარჩა, დანარჩენი 3 მილიონი კაცი წავიდა ჩინეთის არმიასთან ერთად.

სტოიადინოვიჩის გადადგომა და იუგოსლავიის მდგომარეობა

(წერილი პრაღიდან)

სტოიადინოვიჩის კაბინეტის გადადგომა წარმოადგენს იმ შინაპოლიტიკურ წინააღმდეგობათა მკვეთრად გამწვავების შედეგს, რომლებმაც უკვე დიდი ხანია იჩინეს თავი იუგოსლავიაში. იუგოსლავიაში ნოსახლე უკლებლივ ყველა ეროვნების ხალხის ფართო მასები—სერბები, ხორვატები, სლოვენები და სხვები, უკვე დიდი ხანია გამოსთქვამდნენ უკმაყოფილებას სტოიადინოვიჩის საგარეო და საშინაო პოლიტიკის გამო.

1935 წლიდან დაწყებული, როდესაც სტოიადინოვიჩის პირველი კაბინეტი შეიქმნა, იუგოსლავიამ მკვეთრად შესცვალა თავისი შინაპოლიტიკური კურსი: დასავლეთის „დემოკრატიული“ სახელმწიფოებისაკენ ორიენტაციიდან იგი აგრესორ სახელმწიფოებთან დაახლოების პოლიტიკაზე გადავიდა და ფაქტიურად იწყო გერმანიისა და იტალიის იმპერიალიზმის აგენტურად გადაქცევა ბალკანეთში. სტოიადინოვიჩი ზიანს ზიანზე აყენებდა კოლექტიურ უშიშროებას ევროპის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილში და ხელს უწყობდა მცირე ანტანტის ფაქტიურად დაშლას. მიუხედავად ამისა, ოპოზიციურმა ბლოკმა მიიღო მთელი ხმების 40-ზე მეტი პროცენტი და მხოლოდ 300 ათასი ხმით ნაკლები, ვიდრე სტოიადინოვიჩის კოალიციამ.

არჩევნების შემდეგ ნომხდარმა ამბებმა, — სტოიადინოვიჩის ხაზმა, ხალხის მასობრივი ოპოზიციის ძალდატანებით ჩახშობამ, იმ ახალმა დათმობებმა, რომლებზედაც იგი წავიდა გერმანიისა და იტალიის ნიმართ ჩიანოსთან შეხვედრის დროს და სხვ.—აუცილებლად გამოიწვიეს ყველა შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავება.,

სტოიადინოვიჩს ჩამოშორდნენ ის ჯგუფებიც კი, რომელნიც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მხარს უჭერდნენ მას, კერძოდ, სლოვენელი კლერიკალები.

ცვეტკოვიჩის ახალ მთავრობას საქმე ექნება ბერლინისა და რომის უნაგალითო ზემოქმედებასთან, რომელნიც მეტისმეტად შეშფოთებულნი არიან სტოიადინოვიჩის წასვლით. ხორვატთა გლეხური პარტია, რომელსაც მაჩეკი ხელმძღვანელობს, და სხვა ოპოზიციური ჯგუფები ჯერჯერობით უნდობლად ეპყრობიან მთავრობას, სადაც ხორვატების არცერთი წარმომადგენელი არ არის, სადაც დარჩენილია სტოიადინოვიჩის ბევრი ფარული მომხრე. ხორვატთა საკითხში შეთანხმების პირველ პირობად ნაჩეკი აყენებს 1938 წლის დეკემბერში არჩეული პარლამენტის (სკუპშჩინის) დათხოვნას.

პრაღა, 11 თებერვალი.

სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა

ჯერ კიდევ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის წინ ლენინი აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყნისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია — დაეწიოს და გაუსწროს ტექნიკურ-ეკონომიური მხრივ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

მეფის რუსეთი ლატაკი და ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენი სამშობლო გამოიგლიჯა საუკუნოებრივი ჩამორჩენილობის მუხრუჭებიდან. სოციალიზმის გამარჯვებამ სსრ კავშირი გადააქცია მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობით. უმოკლეს ისტორიულ ვადაში საბჭოთა კავშირმა განვლო გზა, რომელსაც კაპიტალისტური ქვეყნები მრავალ ათეულ წლებს ანდომებდნენ.

სამეურნეო ზრდის **ტემპების** მიხედვით ჩვენი ქვეყანა შორს იტოვებს უკან კაპიტალისტური ქვეყნების განვითარებას მათი აყვავების ყველაზე მძაფრ პერიოდებში. მაგრამ ამჟამინდელ სტალინი გვასწავლის ზუსტად განვასხვავოთ განვითარების **ტემპი** და განვითარების **დონე.** პირველმა ორმა სტალინურმა ხუთწლედმა გიგანტურად აამაღლა სსრ კავშირის სამეურნეო დონე. მაგრამ იმის გამო, რომ წარსულში ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად მეტისმეტად ჩამორჩენილი იყო, ჩვენი მრეწველობის განვითარების დონე ახლაც მნიშვნელოვნად დაბალია ყველაზე განვითარებული **კაპიტალისტური** ქვეყნების დონეზე ერთ სულ მოსახლეობაზე წარმოების ოდენობის მიხედვით.

1911 წელს მეფის რუსეთში თუჯი ერთ სულ მოსახლეობაზე მოდიოდა ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე ინგლისში, ხუთჯერ და კიდევ უფრო ნაკლები, ვიდრე გერმანიაში, ვეშვიჯერ ნაკლები, ვიდრე ბელგიაში, თითქმის ათჯერ ნაკლები, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ხოლო მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის სსრ კავშირში თუჯი ერთ სულ მოსახლეობაზე მოდიოდა ორჯერ და კიდევ უფრო ნაკლები, ვიდრე ინგლისში და საფრანგეთში, ორნახევარჯერ ნაკლები, ვიდრე გერმანიაში, სამჯერ ნაკლები, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ჩამორჩება ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეობაზე ელექტროენერგიის, ფოლადის, ქვანახშირის წარმოების ოდენობის მხრივ, აგრეთვე ისეთი სამრეწველო საქონლის წარმოების ოდენობის მხრივ, როგორიცაა ქსოვილები, ქაღალდი, საპონი და ზოგიერთი სხვა.

ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის პრაქტიკულად მთელი სიგრძე-სიგანით დაყენებულია სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა: **„ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპის ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს“.**

ამ ამოცანის პრაქტიკული დაყენება შესაძლებელი გახდა ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირმა ძირითადად დაამთავრა სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია და მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოების ტექნიკის დონის მხრივ ევროპის ყველა კაპიტალისტური ქვეყნის წინ დგას.

სტალინურმა ხუთწლედებმა მუშისა და კოლმეურნის ნაზომა შეაიარაღეს მძლავრი მოწინავე ტექნიკით. მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის მთელი სამრეწველო პროდუქციის ოთხ მეხუთედზე მეტი დამზადებულია ახალ საწარმოებში, რომლებიც აშენებულია ან მთლიანად რეკონსტრუირებულია სტალინური ხუთწლედების წლებში. ეს არის საწარმოები, მოწყობილი ყველაზე ახალი, ყველაზე სრულყოფილი მანქანებითა და დაზგებით, რომლებიც ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში მხოლოდ ზოგიერთ ქარხანასა და ფაბრიკას გააჩნია.

ჩვენი სოციალისტური მიწათმოქმედება შეიარაღებულია მძლავრი მოწინავე ტექნიკით. პირველი ადგილი ამ გადასვლისას მოიპოვა იმ ქვედანაყოფმა, სადაც პოლიტხელად ამხ. საგჩენკოა. ამ ქვედანაყოფის მებრძოლებმა ეს მანძილი 1 საათსა და 29 წუთში განვლეს.

წითელი სამხედრო ფიცის მისაღებად მზადებისას გაიზარდა მებრძოლების მისწრაფება კომკავშირში და ლენინ-სტალინის პარტიაში შესასვლელად. წითელარმიელებს მასობრივად შეაქვთ განცხადებები პარტიის და კომკავშირის რიგებში მისაღებად.

ქართველი მწერლები მოსკოვში

მოსკოვი, 15 თებერვალი (**ბილდაპარატით საკ. კორესპონდენტისაგან**). უახლოეს დღეებში კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მოხდება ქართველი მწერლებისათვის ორდენების გადაცემა.

— „ჩვენ უდიდესი მღელვარებით ველით ამ დღეს, აცხადებს შალვა დადიანი.—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ნათელი გამოხატულება ჰპოვა ამხანაგ სტალინის შეუნელებელმა მზრუნველობამ სოციალისტურ კულტურაზე. ქართველი მწერლები უზომო სიხარულს განიცდიან. ჩვენ აღსავსენი ვართ უსაზღვრო სიყვარულითა და ულრმესი მადლობით ამხანაგ სტალინისადმი. ჩვენი მთავრობის ამ აქტის მნიშვნელობა საერთოდ საბჭოთა ლიტერატურისა და კერძოდ ქართული ლიტერატურის შემდგომი აყვავებისათვის მეტად დიდია. ქართველი ხალხი და მისი ლიტერატურა [illegible] ცდიან. ეს ზეიმია მთელი საბჭოთა ხალხისა, მთელი საბჭოთა ლიტერატურისა, რომლის მთლიანობა ურღვევი და მტკიცეა. ჩვენ აღსავსენი ვართ ენერგიით და სურვილით შეექმნათ სტალინური ეპოქის ღირსეული ნაწარმოებები.

მოსკოვის დღეანდელმა გაზეთებმა მოათავსეს ცნობა მოსკოვში ქართველი მწერლებისა და პოეტების ჩამოსვლის შესახებ. „რაბოჩაია მოსკვა“ გადმოგვცემს საუბარს ამხ. შ. დადიანთან ქართული ლიტერატურის უკანასკნელი მიღწევების—ლეო ქიაჩელის ახალი რომანის—„გვადი ბიგვას“, ა. ჭეიშვილის რომანის „ლელოს“ და სხვ. შესახებ. „ლიტერატურნაია გაზეტამ“ მოათავსა ნაწყვეტი შალვა დადიანის რომანიდან „ურდუმი“.

ინგლისელი ... [illegible]

... [illegible]

... [illegible]

პარტიული ცხოვრება

გამოვავლინოთ კომუნისტთა ძვირფასი წინადადებანი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის XXI კონფერენცია

პირველი სხდომა

გუშინ, 15 თებერვალს, საღამოს სრულ 7 საათზე, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბის დარბაზში გაიხსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის XXI კონფერენცია.

ლენინის რაიონის ბოლშევიკთა საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბნენ თავის მორიგ კონფერენციაზე, რათა გულდასმით განიხილონ XVIII პარტყრილობისათვის ამხანაგების ვ. მოლოტოვისა და ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები— სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმისა და საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

კონფერენცია გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომის მდივანმა ამხ. მ. ჩუბინიძემ.

არჩეულ იქნა კონფერენციის საქმიანი პრეზიდიუმი შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: **კ. ჩარკვიანი, კ. შეროზია, ს. იშხანოვი, მ. ჩუბინიძე, ბ. არუთინოვი, ა. გაბუნია, კ. ჩაგუნავა, ვ. ურიგაშვილი, ი. სვანაძე, დ. ჭიჭინაძე, ვ. სალაძე, ე. წამალაიძე, ი. დევსურაშვილი, ვ. გონგაძე, ნ. გელაძე, გ. ხომერიკი და ს. ცარციძე.**

სამანდატო კომისიაში არჩეულ იქნენ: ამხ. **კ. მანჩხავა, გ. მოსიძე, ლ. გულოვი, შ. სარაული** და **ნ. დოგხოპულო.**

არჩეულ საპატიო პრეზიდიუმი.

წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა კონფერენციის დელეგატს ამხ. **გ. მოსიძეს.**

— სტალინი...

მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ხანგრძლივი, მჭუხარე ოვაციით ხვდება ხალხთა საყვარელი ბელადის, მამისა და მასწავლებლის სახელს. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. გაისმის შეძახილები: „ვაშა ამხანაგ სტალინს!“, „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „ვაშა ჩვენს ქვეყნაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურ სტალინს!“... ოვაცია დიდხანს არ ცხრება.

საპატიო პრეზიდიუმში მჭუხარე ტაშის გრიალში ერთხმად ირჩევენ აგრეთვე ამხანაგებს **მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, კალინინს, მიკოიანს, ანდრეევს, ჟდანოვს, ეჟოვს, ბერიას, ხრუშჩოვს, დიმიტროვს, ტელმანს, ხოზე დიასს.**

საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღისწესრიგი:

1. ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

2. ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისები საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ.

3. საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ჩუბინიძემ, მეორე საკითხზე ამხ. ა. გაბუნიამ.

ამხ. ჩუბინიძემ და გაბუნიამ ხაზი გაუსვეს რა ამხ. მოლოტოვისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას, დელეგატების ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ რა კონკრეტული ამოცანები ისახება მთელი ჩვენი პარტიის, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების წინაშე მესამე ხუთწლედში.

ამხ. ჩუბინიძისა და გაბუნიას მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში გუშინდელ სხდომაზე მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა — წამალაიძემ (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანი), დოგხოპულომ (კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტკომის მდივანი), გონგაძემ (ლენრაიონის საბჭოს თავმჯდომარე), ესაკიამ (რკინიგზის პოლიტგანყოფილება), მანჩხავამ (რკინიგზის თბილისის კვანძის პარტკომის მდივანი), ხიზანაშვილმა (საორთქლმავლო დეპოს სტახანოველი), ჩაგუნავამ (რკინიგზის პოლიტგანყოფილება), კვირიკაძემ (ავჭალის შრომის კოლონია), კამალოვმა (სატრიკოტაჟო კომბინატის პარტკომის მდივანი).

კონფერენციის პირველ სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნები ამხ. **კ. ჩარკვიანი** და **კ. შეროზია** და თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ს. იშხანოვი.**

კონფერენციის მეორე სხდომა შესდგება დღეს, საღამოს სრულ 7 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიონის XXI კონფერენცია

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიონის XXI პარტიული კონფერენციის 13 და 14 თებერვლის სხდომებზე სწარმოებდა კამათი ამხ. ვ. სიხარულიძისა და პოლოსიანის მოხსენებათა გარშემო.

კამათში გამოსული ამხანაგები ერთსულოვნად იწონებდნენ ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს და აღნიშნავდნენ იმ დიად მიღწევებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

— ფართოდ გაიშალა წინასაყრილობო შეჯიბრება მთელს საწარმოებში. ჩვენი პარტიის XVIII ყრილობას სტახანოველები, დამკვრელები უმზადებენ ახალ შესანიშნავ საჩუქრებს, — ამბობს რკინიგზის ნავთლუღის კვანძის პარტკომის მდივანი ამხ. ი. ლუარსაბოვი. ტრანსპორტის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები დიდი სიხარულით შეეგებნენ ცნობას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ; მათ აიღეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებები. აღნ. ლუარსაბოვმა შემოიტანა წინადადებები პარტიის წესდებაში ცვლილებათა შესატანად.

მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები, რომელთაც ვიხილავთ კრებებზე და კონფერენციებზე, მეტად სერიოზულ ამოცანას აყენებენ ჩვენს წინაშე,— ამბობს წისქვილკომბინატის პარტკომის მდივანი ამხ. ლევინი. პირველი კვარტალის გეგმა კოლექტივმა უნდა შეასრულოს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გახსნის დღისათვის. კომბინატის სტახანოველები ამ დავალებას პირნათლად შეასრულებენ. ლევინს შემოაქვს წინადადება — რაიონულ კომიტეტებთან შეიქმნას საინსტრუქტორო განყოფილება, რომელიც უკეთეს მომსახურებას გაუწევს ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებს, განაზოგადებს ინსტრუქტორთა მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას. მანვე შემოიტანა წინადადება—შეიქმნას რაიონულ კომიტეტებში კადრების განყოფილება.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ზახარიანი, ბულგადაროვი, ვდოვენკო, ალიხანოვი, კასაბიანი, სარქისოვი, ბადრიძე, არუთინოვი, გოკსაძე, დარაშვილი, მოსესბეკოვი, ისკანდაროვი.

14 თებერვალს საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. მოსესბეკოვის მოხსენება. ამავე სხდომაზე დასახელებულ იქნენ ფარული კენჭისყრისათვის საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატობის კანდიდატები.

○

გუშინ საღამოს სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია ნოსმენილ მოხსენებათა გარშემო. კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები.

კონფერენციამ საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობის დელეგატებად გადამწყვეტი ხმით აირჩია 29 კაცი, საათობირო ხმით კი 7 კაცი.

დელეგატები მჭუხარე ოვაციებით და ტაშის გრიალით შეხვდნენ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის არჩევას ყრილობის პირველ დელეგატად. კონფერენცია მეტად გულთბილად შეხვდა ყრილობის დელეგატად ამხანაგ ლ. ბერიას არჩევას. ყრილობის დელეგატებად არჩეული არიან აგრეთვე ამხანაგები: კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, მ. ჯაში, ს. იშხანოვი, ვ. სიხარულიძე, პოლოსიანი, გიორგაძე, ლუარსაბოვი, ნ. ჩარკვიანი, ლევინი და სხვ.

ერთსულოვნად მოიწონეს

თბილისის სატრანსპორტო-საინჟინრო ინსტიტუტის პირველადი პარტორგანიზაციის დახურული კრება 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო. კრებას პარტიის 80 წევრისა და 48 კანდიდატის ნაცვლად დაესწრო 72 წევრი და 42 პარტკანდიდატი.

ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების შესახებ მოსმენილ იქნა ამხ. შ. ჭიჭინაძის და დ. კაზაჩენკოს მოხსენებები.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. გულოიანი, ზელმანსკი, ნეტკაჩევი, ძოწენიძე, დიდია, კვანტალიანი და სხვ. მომხსენებლები და კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ ამ თეზისების უდიდეს მნიშვნელობას. კრებამ ერთსულოვნად მოიწონა ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები და მიიღო სათანადო რეზოლუცია; სატრანსპორტო-საინჟინრო ინსტიტუტმა წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ინდუსტრიული ინსტიტუტის მთელი კოლექტივი.

დახურულმა კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია სტალინის რაიონის პარტკონფერენციის დელეგატებად გადამწყვეტი ხმით 9 და საათობირო ხმით 2 ამხანაგი.

ს. მესხი.

ტრანსპორტის ინჟინერთა თბილისის ინსტიტუტის სტუდენტები ამხ. ვ. ვარდოსანიძე, ს. ალიხანოვი და ვ. კრინიკაია მარქსიზმ - ლენინიზმის კაბინეტში სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას.

საქდესის ფოტოქრონიკა

წულუკიძის რაიონში

წულუკიძის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტთა აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს დახურული პარტიული კრებები ამხანაგების ვ. მოლოტოვისა და ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განსახილველად.

ჩატარდა დახურული კრებები მექანიზაციის ტექნიკუმის პირველადს პარტორგანიზაციაში, სადაც თეზისებზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ალ. კუპრაშვილმა. კამათში გამოვიდა 7 ამხანაგი.

დახურული პარტიული კრებები ჩატარდა აგრეთვე სოფ. კონტუათის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის, სარეწაო-კოოპერატიული კავშირისა და სხვა პირველადს პარტორგანიზაციებში.

კრებებზე ერთსულოვნად იწონებენ მოხსენებათა თეზისებს და იღებენ ახალ ვალდებულებებს, რომ XVIII პარტყრილობას შეხვდნენ სასახელო გამარჯვებებით.

ლ. ტაბიძე.

ვალერიან გაფრინდაშვილი

ორდენოსანი პოეტი

ზარი

ზარას შევჩეჩავ

მეფის პეტერბურგს — ყმების ხელით ავებულ გოდოლს,
ვით მხეცის ბუნაგს შენ უცქერდი მეტ სიძულვილით.
შენ იგონებდი ლატაკ სოფელს, ტირიფის ფოთოლს
და ისევ გწვავდა დაუდეგარ ბრძოლის წყურვილი.

ქედს არ იხრიდი ბარბაროსი-მეფის წინაშე
და ამზადებდი ეშრომელების ლაშქრობას მტერზე;
სვვრეტდი მომავალს განთიადის ალურ მინაში,
წარსულს-კი — მთვარით გაფითრებულ მდინარის ფსკერზე.

ციხეს, ბორკილებს და დაღუპვას ვერ გადაურჩი,
შენი სიტყვა-კი ცოცხლობს ცეცხლზე უმხურვალესი,
ჰპოვე სიამე დარბაისელ დნეპრის ხმაურში,
რომელიც გლოვობს შენს აღსასრულს დედის ალერსით.

სავსეა მთელი უკრაინა შენი სახელით,
ხალხის უსაზღვრო სიყვარული შენი ხვედრია.
ერგო ისეთი შენს სიმღერებს გამოძახილი,
როგორიც თვითონ ოკეანეს არ შეხვედრია.

უშენოდ მინდვრად არ იშლება მცირე ყვავილიც,
ყველგან სდარაჯობ — ულხლავი დევ-გმირი — მამულს.
შენი მზით ცოცხლობს და მწიფდება პურის თაველი.
ბაღებში უსმენ ჩვენს ბედნიერ ბავშვთა ჟრიამულს.

ცოცხლად გმარხავდა, ვით თავის მტერს, თვითმპყრობელობა.
დიდ ოქტომბერმა შენი სიტყვა გამოიტანა
დღის სინათლეზე და არ ცხრება ხალხის მსვლელობა
შენს ძეგლისაკენ — ჯანყისა და ლექსის ტიტანო!

დიდო პოეტო! თვითეული ერი გაფასებს.
შეგვყვარებიხარ ისე როგორც მკვიდრი ილია.
გვაქვს შენი სახე აღბეჭდილი გულის დაფაზე —
დღეს ყველასათვის შენი ლექსის ბგერა ტკბილია.

1939 წ.

მარიკა მიქელაძე

მხედრის ფიცი

მტერი უტევს გარიჟრაჟს,
ბნელს გვიმზადებს უკუნეთს,
სურს მოვარდეს ქარიშხლად,—
მიწა დაიგუგუნებს...
მაგრამ ვერვინ შეშალოს
ჩვენი გზა და მიზანი,
ვერავინ გაგვიშავოს
სიყრმე ვაჟკაცისანი!
დიდ არწივის მართვები
მტერს გავუჩენთ ციებას,
ცაში ავიჭრათებით
ფოლადის არწივებად,
ცეცხლს გავაჩენთ ალიანს,
ბრძოლად დავირაზმებით, —
იგრძნონ: მიუვალია
საბჭოეთის საზღვრები!

მთებო, ცამდე აშლილო,
კოლექტივის ხნულებო,
ტყის შრიალა ტაშებო,
სუფთა ნაკადულებო,
მზით ნაქარგო ველებო,
მოშრიალე ყანაო,
დის ნაჯაფო ხელებო,
ქალო ალვისტანაო,
მამის სუფთა ჭალარავ,
ჭირნახადო დედაო,
ვფიცავ, რომ თქვენს სიხარულს
ვერვინ შემოედაოს!

ვფიცავ ცის სილაქვარდეს
მიწის ჩარგაშლილობას,
ვფიცავ ჩვენი კიროვის
მარად მფეთქავ ჭრილობას,
ვფიცავ სიბრძნეს ლენინის,
ქვეყნის მზედ რომ ანთია,
ვფიცავ თავისუფლებას
და მის დიად ქარტიას,
მისმენს ფილა ნათელი,—
დიდ სტალინის მზეს ვფიცავ,
რომ მტრის გადასათელი
არ გახდება ეს მიწა!

ჩემი მაღლობა

ჩემს ამხანაგებთან — საბჭოთა მწერლებთან ერთად — მე განვიცდი უდიდეს სიხარულს იმის გამო, რომ ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა დაფასებულ იქნა უმაღლესი ჯილდოთი—სსრ კავშირის ორდენებით. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში — გამარჯვებული სოციალიზმის და სტალინური კონსტიტუციის ქვეყანაში—ეპყრობიან მწერალს ასეთი განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით, ეძახიან მას „ადამიანის სულის ინჟინერს“. მე უსაზღვროდ აღფრთოვანებული ვარ ამ ჯილდოთი და ყოველ ძალას მოვიკრებ, რათა ჩემი შემდგომი მუშაობით კიდევ უფრო გავაძლიერო ჩემი პროდუქცია, კიდევ მეტად გავამართლო ის დიდი საჩუქარი, რომლითაც გამაბედნიერა ჩვენმა მთავრობამ.

ჩემი მადლობა და უერთგულესი სიყვარული ხალხთა ბელადს, ჩვენი დროის უდიდეს ადამიანს **დიდ სტალინს!**

გაუმარჯოს დიდი სტალინის ერთერთ საუკეთესო მოწაფეს, ჩვენს მოამაგეს და საქართველოს საუკეთესო შვილს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას!**

ვალერიან გაფრინდაშვილი

ორდენოსანი პოეტი

ბათუმი, თებერვალი 1939 წ.

ვალვა აფხაიძე

საამური ცხოვრების მოამღერალი

არიან პოეტური ქმნილებანი, რომელთა კითხვა მკითხველს შემეცნებითი ჰორიზონტის გაფართოებასთან და აქტიური სულისკვეთებით შეიარაღებასთან ერთად უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის, თავისი ხანგრძლივი გავლენის ქვეშ აყენებს. ამ შემთხვევაში მკითხველისათვის აუცილებელ ნოთხოვნილებად იქცევა არაერთხელ დაუბრუნდეს მათ და თვითონაც ამღერდეს წაკითხული ლექსებივით. ასეთი რეზონანსი მკითხველს შორის მხოლოდ მაღალტალანტოვან მხატვრულ ნაწარმოებს შეუძლია გამოიწვიოს.

ასეთს პოეტურ ნაწარმოებთ ეკუთვნიან პოეტ გიორგი ლეონიძის ლექსები, რომელთა ცალკე წიგნად გამოცემა ჩვენი საბჭოთა პოეზიის უეჭველ დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

პოეტური ხმის ძლიერება განისაზღვრება მისი გულწრფელობით, იმით, თუ რამდენად სრულად და შეშმარიტად გრძნობს პოეტი თავის ეპოქას, უკანასკნელის მოწინავე იდეებს: მხოლოდ იმ პოეტს შესწევს ძალლონე გახსნას მხატვრულ სახეებში თავისი დრო, რომელსაც ძალუძს თანამედროვეობის მწვერვალებზე ასვლა, თავისი ეპოქის მფეთქავი იდეების სადარაჯოზე დადგომა.

ჩვენი დრო ყველაზე უფრო ვმირულია ყველა ეპოქებს შორის. ყველაზე უფრო რომანტიკულ-აღფრთოვანებული და ვაჟკაცური. ჩვენს ხალხს განუსაზღვრელად უყვარს საბჭოთა ვმირი მფრინავები, რომელთაც თავისი ზღაპრული გადაფრენებით კორექტივები შეაქვთ ჩვენს წარმოდგენაში დროსა და სივრცეზე. ჩვენი მრეწველობისა და სოციალისტური მინდვრების სტახანოველები, ვმირი მესაზღვრეები. ბუნებრივია, ხალხი მიიღებს იმ მწერალს, რომელიც უმეტესი მხატვრული სისრულით ასახავს ამ ვაჟკაცობას, ეპოქის თანახმიერ ვმირულ საწყისს ადამიანის მოქმედებაში, დახატავს ვმირის სახეს ისეთი პოეტური გულწრფელობით და აღფრთოვანებით, რომ მან შესძლოს მკითხველის გატაცება, მასში ვმირული ენერგიის გამოწვევა.

ასეთ მოწინავე პოეტთა რიგებს ეკუთვნის გ. ლეონიძე. მისი ლექსები შეუწყვეტელი სიმღერაა თანამედროვეობაზე, ვმირობაზე, ხალხთა მეგობრობაზე, სიყვარულზე, ადამიანებზე, რომლებიც ბედნიერ ცხოვრებას ჰქმნიან. არ მომხდარა ჩვენს ცხოვრებაში არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ მას შეესატყვისი გამოხმაურება არ ეპოვოს გ. ლეონიძის მღელვარე, დინამიკურ პოეზიაში.

პოეტის შეგნოქმედებითი პროგრამა მოცემულია ერთერთ შესანიშნავ ლექსში—„პოეტს“:

ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით—
ადიდებული, დამწიფებული,
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.

პოლიტიკური სიმწვავე, შეხამებული მაღალ მხატვრულ სიმკვეთრესთან, სინათლესთან პოეტის ლექსებს მოქნეული ხმალის ბრწყინვალეს და გამძლეობას ანიჭებს. მისი ლექსების უმრავლესობა სიხარულით აზვირთებული ქუჩის ხმით ბობოქრობს, იბრძვის, ამ ხმების ნამდვილ ტრიბუნად იქცევა. ეს პოეზია შესანიშნავი ჰიმნია უდიდესი აღორძინებისა, რომლის ფერხულშიაც ჩვენი ქვეყანაა ჩაბმული. ეს ლექსები მკითხველში ზრდის ღრმა სიყვარულს სოციალიზმის სამშობლოსადმი, იმ გმირებისადმი, რომლებმაც ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას საფუძველი ჩაუყარეს. ამიტომ გ. ლეონიძის პოეზია ჩვენი დროის გამოკვეთილ პოეტურ ძეგლად დარჩება.

ორგანული, რაღაც ინტიმური გრძნობა თანამედროვეობისა და მისი ფუძემდებელი გმირებისა მომღერლის ბუნებრივ თვისებას წარმოადგენს. ეს არის სითბო, ეს არის ადამიანური განცდა ამბებისა, რასაც პოეტის მთელი შემოქმედებითი პროდუქცია სოციალისტური ჰუმანიზმის სიმაღლეზე აჰყავს. სწორედ ამით განირჩევა საბჭოთა პოეზიის შინაგანი თვისება, რომ მასში დაძლეულია წინაალმდეგობა გარემოსთან, რომ პოეტსა და გარემცველ ხალხს შორის ჰარმონიულობა არის დამყარებული, ერთმანეთის გაგება, ერთმანეთის მიმღეობაა. ეს იმანენტური კატეგორია საბჭოთა პოეზიისა მშვენიერი სტრიქონებით აქვს გადმოცემული პოეტს ერთერთს თავის ლექსში — „ვმირი და პოეტი“, რომელიც მისი პოეზიის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს.

ვმირი ჩემი ძმა არი,
ჩემი მეზობელია,
ტოლები და სწორები
ჩემი ამხანაგები...
მათი რიცხვი — ზღვა არი,
ზღვის ზვირთი უთვლელია,
მიყვარს ჩემი ქვეყანა,
მათი ხელით ნაგები.

უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ ლექსებში პოეტი უმღერის ჩვენი ხალხის გამარჯვებებს მშენებლობის ყველა ფრონტზე. გადაბმით მიჰყვებიან ერთმანეთს ლექსები, რომლებშიც ჩამდგარია ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, დოვლათი, ჩვენი ხალხის ლხენა, ბედნიერების უხვი რთველი.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია ცალმიბჯენილი მთებით. ხალხმა მათ შორის იალტუზი გაშოჰყო, როგორც სიმაღლის და სიდიადის გამომსახველი. ისე დგას გიორგი ლეონიძის ლექსებში **დიდი სტალინის** სახე. ეს სახე წარმოადგენს პოეტის უდიდეს შთამაგონებელ ძალას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში არცერთ პოეტს არ განუცდია—თუ მხედველობაში არ მივიღებთ დიდ სახალხო ზღაპრებს ჯამბულს — სტალინის სახე ისეთის შთაგონებით, როგორც ეს შესძლო გიორგი ლეონიძემ.

რომელი ერთი ადგილი უნდა მოიყვანოთ იმის საილუსტრაციოდ, თუ რა პოეტური მღელვარებით გრძნობს იგი ხალხის ამ უდიდეს სიყვარულს ბელადისადმი. ამ ციკლის ლექსები, ერთნაირი გულწხურვალებით შეჰხარიან ძვირფას სახელს, ერთნაირი სიამაყით ადიდებენ კაცობრიობის მფეთქავ გულს — **დიდ სტალინს.**

რომელ ზღვის ძირებს ემარხა
ფარაჯიანთა გენია.
მწარე ნატკენის ზღვევა ხარ,
თუ ღატაკს სადმე სტკენია.
დახრილი ქედის გაშლა ხარ
დრაშა ხარ, ტარით მაღალი.
შეუწყვეტელი ვაშა ხარ,
გულიდან გულზე სახალი!

ლექსი თავდება სიამაყით გაცხოველებული მუსიკალური აკორდით:

დღეს შენ მიარღვევ... შენს მერანს
ვერავინ შეეჭიდება, —
მსოფლიოს გულო მფეთქავო,
ქართული ქოხის დიდებავ!

ამ შესანიშნავი ლექსების წყებას ეკუთვნის: სიტყვა წარმოთქმული პოეტის მიერ ლექსად საბჭოების სრულიად-საკავშირო VIII საგანგებო ყრილობაზე, „სტალინის სურათზე“, „იხარე ხალხო ძლიერო“, „ყრილობის დელეგატის მოგონება“, „ბელადმა ნდობა გაზოგვიცხადა“, „არწივის ფრთები“, „იბადებოდა“, „სიმღერა ბელადზე“, და მრავალი სხვა ლექსი დასახელებულ კრებულში შეტანილი თუ შეუტანელი.

ღრმა გრძნობა და ორგანულობა პოეტს საშუალებას აძლევს ასცდეს მოსაწყენ ერთფეროვნებას და ყოველ ლექსში ცხოველი სიახლე შეიტანოს. პოეტი დასახელებულ ლექსებში მრავალფეროვანია. იგი პოულობს ახალ საღებავებს, ახალ პოეტურ სახეებს იმისათვის, რომ შეჰქმნას დაუვიწყარი პორტრეტი კაცობრიობის უდიდესი ვმირისა.

იშვიათი სიძლიერით აქვს, მაგალითად, მოცემული პოეტს VIII ყრილობის სურათი. აქ ყოველი ფერი მეტყველი და მზიანია. თუნდაც ამ ლექსით ცოცხლად შეუძლია ყველას წარმოიდგინოს, უშუალოდ განიცადოს ის ბედნიერი წუთები, რომელთაც განიცდიდნენ დელეგატები დიდი ბელადის ხილვით:

ზვავის ასხლეტა მინახავს,
კლდეზედ ელვარის ტეხილი;
მეხის ფრთქვეება და ქარსტყვეა
ზღვა ქარიშხალთან შეთლილი.
მაგრამ გულს მეტი ხმა თუ აქვს,
მანამ არ გამიგონია;
გულს აფეთქებულს შენდამი,
უფრო მეტი ხმა ჰქონია!

აი ეს მოკვეთილი პლასტიკურობა გარკვეული სურათის შექმნაში მუსიკალურ აჟღერებასთან ერთად გ. ლეონიძის პოეზიის ძლიერ მხარეს შეადგენს.

პირვანდელ ლექსებშიც კი, რომლებიც მოდერნისტული იერით არიან დაწერილნი, იგრძნობა სიცოცხლის მძლავრი ნაკადი, რომელიც ვერ ეგუება ქვესკნელში ჟონვას და მიწის ზედაპირზე ამოდის.

ეს ნაკადი ბოლო ხანებში დაწერილ ლექსებში სავსებით გაბატონებულია. ყველაფერი, რასაც კი სიცოცხლის, აყვავების, აღდგენის ნიშანი აქვს,—პოეტში შესაფერ ანარეკლს პოულობს. ეს არის პოეზია სიჭაბუკის, რომელსაც ვერ დაივიწყებ, როგორც პირველი გატაცების სითბოს. ეს არის სწრაფვა ჩასწვდეს ცხოვრების სიღამაზეს, მოასწროს სიცოცხლის ფარული და ნეტარი შარბათით დატკბობა.

ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!

გენიალური ფორმულა—„ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“ — შესანიშნავ გამართლებას პოულობს გ. ლეონიძის პოეზიაში. უკანასკნელი, როგორც აღვნიშნეთ, შინაარსით თანამედროვე, აქტიური, სოციალისტური მშენებლობის თემებზეა აგებული. ამასთანავე ღრმად ნაციონალურია არა მხოლოდ და არა იმდენად კოლორიტით, იშვიათი ოსტატობით, დახატული პეიზაჟებით, არამედ შინაგანი ხილვით, თავისი თავისუფალი ხალხის ცხოვრების ასახვით, წარსულსა და აწმყოს შორის შინაგანი კავშირის დამყარებით, მათი ერთნაირი ინტენსივობის განცდით. პოეტი ორგანულად განიცდის თავისი ქვეყნის წარსულს, მდიდარს გაუხარელი და ნათელი დღეებითაც.

აქა მღეროდნენ სტვირის მკვრელები
და მომღერლები სიყვარულისა;
მათი ფერფლიდან მე აღმოვცენდი,
ნაწოვი მათი სიმღერებითა,
ნაძის წვერივით განათებული.

პოეტი თავის ლექსებში აგრძელებს ქართული ლიტერატურის კარგ ტრადიციებს. ეს ლექსები საბჭოთა პატრიოტიზმის დუღაბით მტკიცედ რომ არიან შეკრულნი. თუ ჩვენი კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე პლეადა დამონებული სამშობლოს ხსნისაკენ მოუწოდებდა ხალხს „ბუკითა და ნაღარით“, გ. ლეონიძე დანარჩენ მოწინავე საბჭოთა პოეტებთან ერთად თავისი მეტყველი ლექსებით განთავისუფლებულ სამშობლოზე, მის აღორძინებაზე მღერის და, ბუნებრივია, რომ ეს მას უშუალოდ დაკავშირებული აქვს დიდ სტალინთან, რადგანაც მხოლოდ სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად გახდა შესაძლებელი ხალხთა განთავისუფლება და მათი სოციალისტურ აღორძინებაში ჩაბმა. ყოველი მისი ლექსი თავისი ქვეყნის ამ სიყვარულის ცეცხლით არის გაჩაღებული. ეს გრძნობები გადმოცემულია ლექსში „ვუმღერ სამშობლოს“.

მარადი შუქით ბრწყინვალეს იგი,
მისი ნათელი დამოვებია,
სიცოცხლე მისი მშვენების იქით,
ერთ ნაბიჯითაც არ მდომებია.

ასეთი გულწრფელი სახეებით გამოხატავს პოეტი სიყვარულს სამშობლოსადმი. ამავე გრძნობით არის გამთბარი მისი ლექსები გორზე—ბელადის სამშობლოზე, რომლებშიც ჭეშმარიტი პოეტური გზნებით არის დაპირისპირებული ქვეყნის შავი წარსული და ბედნიერი აწმყო.

ასეთივე მხატვრული სიძლიერით არის დაწერილი ლექსები მიძღვნილი ილიასა, ვაჟასა, ნიკ. ბარათაშვილსა, ვეფხის-ტყაოსნისა, საბასულხან ორბელიანისადმი.

პოეტი ღრმად გრძნობს ჩვენი ქვეყნის ბუნებას. ბუნების ერთგვარი პანთეისტური ხილვით ხასიათდება გიორგი ლეონიძის ლექსები. მისი „კახეთი“, „ქართლის ბაღი“, „იორის ღამე“, „იორის პირზე“, და მრავალი სხვ. ამდიდრებენ ქართულ პოეტურ სიტყვას. ამ ლექსებში ვულის სიღრმემდე აქვს განცდილი პოეტს თავისი ქვეყანა და ეს განცდები დაკავშირებულია ფართო იდეურ სამყაროსთან. ყოველი მთგანი გრძნობების სიახლით, გულწრფელობით, აღნაგობით ამაღლებული პათოსით ქართულ საუკეთესო ლექსებს უნდა მიეკუთვნოს.

შენი ბდღვრიალა ჯალმახი,
აცვია თითქოს ჩითები
ლილა, რომელსაც ნისკარტით
ეზიდებიან ჩიტები...
და უწმინდესი ტაძარი,
არსზე წისქვილი პატარა;
შენმა ტინებმა სიმაგრე
ლექსებში გამომატანა.

პოეტის შემოქმედება ხასიათდება ჭეშმარიტი სოციალისტური ხალხურობით. მისი პოეზია გამოხატავს ხალხის მისწრაფებებს, გამოხატავს უბრალო, ნათელი და გამჭვირვალე სახეებით. ამაში უნდა ვეძიოთ პოეტის დიდი გამარჯვება. ყველა მისი ლექსი უშუალოდ მიდის ხალხის გულთან. პარალელიზმი პოეტურ ასოციაციებს შორის, რაც ასე ახასიათებს ხალხურ შემოქმედებას, ნამდვილი პოეტური ზომიერებით არის დაცული ლეონიძის ლექსებში.

გადაივლიან ღრუბლები,
დაჭყრიან ოქროს ქვიშასა.
წავა ლექსი და წაიღებს
ახალგაზრდობის ნიშანსა.

სახეების ასეთი სისტემით აქვს გამართული პოეტს თავისი მრავალი სასიმღერო ლექსი.

პოეტი ღრმად განიცდის სიტყვას; როგორც გარკვეული განწყობილების გადმოცემის საშუალებას, თუმცა ზოგჯერ სიტყვა მისთვის მხოლოდ პოეტურ სამკაულად იქცევა და იდეური მიზართულება ეკარგება. პოეტი ხვდება ფორმალობის გავლენის ქვეშ. სარეცენზიო წიგნში მოთავსებულ ზოგიერთ ლექსებში ფორმალიზმის ელემენტები უთუოდ შესამჩნევია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირვანდელ ლექსებში იგრძნობა ფეოდალური რომანტიზმის, წარსულის იდეალიზაცია.

ეს ჩრდილოვანი ადგილები ზოგ შემდგომ ლექსებშიც იჩენს თავს. პოეტის შეუჩერებელი ზრდისათვის კი აუცილებელია მათი საბოლოოდ და სავსებით დაძლევა.

დასასრულ გაკვრით უნდა აღინიშნოს ერთი დამახასიათებელი ხაზი გ. ლეონიძის პოეზიაში, რისთვისაც ჩვენს კრიტიკას ჯერჯერობით ყურადღება არ მიუქცევია. ეს არის პოეტის აჩქარებული, გრძნობამორეული ლირიზმი. თითქმის ყველა მისი საუკეთესო ნაწარმოები ამ ღრმა ლირიზმით არის გამთბარი. მხოლოდ უნდა ითქვას ისიც, რომ აქაც არ ღალატობს პოეტი თავის ხმას: მისი ლირიზმი ვაჟკაცურია, გმირული. ამ მხრივ შესანიშნავია სურნელოვანი თაიგული მისი ლექსებისა: „ვეფხისტყაოსანს“ („გაქანდი, ოქროს ფრთიანო, გასცდები ქვეყნის ნაპირსა,—შენ, დედაჩემის მზითევო, ფარხმალო მამაპაპისა“), „იორის ღამე“, „

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ

პარიზი, 14 თებერვალი (საკდესი). აქ აღტკიცებენ, რომ ბერარი მიემგზავრება ბურგოსს, რათა დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა პარიზსა და ბურგოსს შორის. თუმცა ბურგოსის ეგრეთწოდებული „მთავრობა“ ოფიციალურად ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მიუხედავად ამისა, მთავრობა სდგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც შეესაბამებიან ფრანკოს ცნობას დე-ფაქტო. პარიზში დაჟინებით ლაპარაკობენ იმ ზემოქმედების შესახებ, რომელსაც პარიზი და ლონდონი ახდენენ ნეგრინის მთავრობაზე. როგორც იუწყებიან, ნეგრინისაგან მოითხოვენ შეწყვეტილ იქნას „უსარგებლო წინააღმდეგობის გაწევა“ მეამბოხეებისათვის და გენერალ ფრანკოს გადაეცეს მადრიდი, ვალენსია და მთელი რესპუბლიკური ზონა. ამ ხმებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა გაზეთ „სე სუარის“ დღევანდელ გამოსვლას. ეს გაზეთი სწერს:

„ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ ეს! დადის ხმები (და ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა ჩვენ დაგვიდასტურა, რომ ეს ხმები სავსებით საფუძვლიანია), რომ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებმა ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს ნეგრინს გაუგზავნეს ფორმალური ულტიმატუმი.

ნეგრინისაგან მოითხოვენ კაპიტულაციას ყოველგვარი პირობის გარეშე, გენერალ ფრანკოსათვის მადრიდისა და ესპანეთის ცენტრალური ზონის გადაცემას, მოითხოვენ, რათა ნეგრინი დაენდოს გენერალ ფრანკოს „დიდსულოვნობას“; წინააღმდეგ შემთხვევაში ნას იმით ემუქრებიან, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტი მიადგება კარტახენას, რათა ესპანეთის რესპუბლიკის მიმართ გაიმეოროს იგივე ოპერაცია, რაც ჩატარებულ იქნა მინორკის მიმართ.

ეს ამბავი შეუძლებლად გვეჩვენება. ნაგრამ მინორკის შემთხვევის შემდეგ, რომელიც აგრეთვე შეუძლებლად გვეჩვენებოდა, ყველაფერს უნდა მოველოდეთ. ჩვენ მოვითხოვთ ამ ხმების უარყოფას“.

რესპუბლიკელთა ჯარის დახევა კატალონიიდან

ლონდონი, 14 თებერვალი (საკდესი). ინგლისის გაზეთების სპეციალური კორესპონდენტები, რომლებიც ესპანეთის საზღვარზე იმყოფებიან, გადმოგვცემენ იმ ბრძოლის ამბავს, რომელსაც ჯერ კიდევ კატალონიის ტერიტორიაზე პუიგსერდის რაიონში დარჩენილი 10 ათასი რესპუბლიკელი მემამარი განაგრძობს. რესპუბლიკელები ინარჩუნებენ სოფელ კაპროდონს (პუიგსერდის სამხრეთ - აღმოსავლეთით) და ტერიტორიის ვიწრო ზოლს, რომელიც პრატს დე მოლოსაკენ მიდის. რესპუბლიკელთა ეს ერთეულები ეკუთვნიან რესპუბლიკელთა ჯარის მე-31 და მე-32 დივიზიებს, რომლებსაც პოლკოვნიკები — ტრუება და განსებო მეთაურობენ. გაზეთ „ივნინგ სტანდარტის“ კორესპონდენტი სწერს, რომ რესპუბლიკელთა ჯარის ამ საარიერგარდო ერთეულებმა მოქმედება იმ მიზნით დაიწყეს, რომ უზრუნველეყოთ სამხედრო მასალების გადაზიდვა საფრანგეთის ტერიტორიაზე.

საფრანგეთი
ბარსელონა
ტარაგონა
ტორტოსა
ბალაგერი
ლერიდა
ფიგერასი
ბანიოლეს სანტანდერი
ბილბაო
ბურგოსი
ვალადოლიდი
ზარაგოსა
ბარბასტრო
ბალბასტრო
ტერუელი
ალბასეტე
ალიკანტე
ვალენსია
ალბაკეტი
ალბაკეტი
ალბაკეტი